PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:სახელი, გვარი თამარ ნასყიდაშვილი

წევრები:

სახელი, გვარი ნინო მოწყობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთომიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის *05/04/2021 №325561* ბრძანების საფუძველზე *2021* წლის *21* აპრილს ,ქალაქ ფოთში,სსიპ კოლეჯში *„ფაზისი“,* დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის *(* თავმჯდომარე თამარ ნასყიდაშვილი, წევრი-ნინო მოწყობილი*)* ვიზიტი „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ , განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის *2010* წლის *1* ოქტომბრის *№ 99/*ნ ბრძანებით დამტკიცებული *„*საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების*“ 31*-ე მუხლის,მე-*2* პუნქტის ბ*)* ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ქ.ფოთში, სსიპ კოლეჯ ფაზისში განახორციელა ვიზიტი დისტანციურად ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა გადმოგზავნილი დოკუმენტაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება,მატერიალური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები,პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები,პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმები და სხვა . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ დამატების პერიოდში პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი გარემოებები და დოკუმენტური მასალები, დარგობრივ ჭრილში ინტერესიდან გამომდინარე დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია და აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ, ონლაინ რეჟიმში დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმება პროფესიულ სტუდენტების ადგილების მოთხოვნილი რაოდენობის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში

არ ფიქსირდება

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც დაფიქსირდა ვიზიტის პერიოდში, კომპონენტისმითითებით.

ხარვეზი არ ფიქსირდება

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XII. ინფორმაციაპსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/Secondary Vocational Qualification in Hotel Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება ### 01/54.03/08 2018;01/75. 27/11/2019;1/21 02/03 2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ფოთი,კონსტიტუციის ქუჩა # 54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ექსპერტთაჯგუფისშეფასება პროგრამაზემოთხოვნილიპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობისშესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XIII. პროგრამისპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასება)	(ექსპერტებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სსიპ კოლეჯ „ფაზისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“,ექსპერტების ჯგუფის მიერ (თავმჯდომარე - თამარ ნასყიდაშვილი, წევრი- ნინო მოწყობილი)წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და დისტანციური ვიზიტის დროს ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის საფუძველზე დაყრდნობით, პროგრამის განხორციელების არსებული რესურსით კოლეჯს საშუალება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ფარგლებში(30), გაზარდოს სტუდენტების რაოდენობა 15 პროფესიული სტუდენტით(მოდულური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან,რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ კოლეჯ „ფაზისის“მიერ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ონლაინ დათვალიერების, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით- „სასტუმრო მომსახურება“ -გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; ახალ მიღებაზე დაგეგმილია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება მოდულური მიდგომით.

დაწესებულებას „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი. ამჯერად ქვოტის გაზრდის ფარგლებში გეგმავს 15 პროფესიული სტუდენტის დამატებას მოდულური მიდგომით(15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით 2020 წლის შემოდგომის მიღებით ჩართულია სასწავლო პროცესში). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის გათვალისწინებულია სასწავლო სივრცეები პრაქტიკული და თეორიული სწავლებისათვის, გამოყოფილია C1 გარემო -სიმულაციური ოთახი იმიტირებული სასტუმროს სახით. პროფესიული საგანმანათლებლო „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სიმულაციურ ოთახში მოიაზრება ე.წ. “რეცეფშენი“. დაწესებულება სარგებლობს სასტუმრო მართვის პროგრამით -“ოპერა“ და სარესტორნო მომსახურების პროგრამით- „სუფრა+“ მონიტორი.

ვიზიტის დროს დისტანციურად დათვალიერდა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ განხორციელებისათვის გათვალისწინებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი მასალებით აღწერილი სასწავლო სივრცე, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მოდულების განხორციელების შესაბამისი გარემო სივრცეები, მატერიალური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას,ასევე სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსი სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში თანაფარდობის უზრუნველყოფით.

პროფესიული მოდულების ფარგლებში თეორიული სწავლებისთვის გათვალისწინებული აქვს A გარემო 34,2 კვ.მ ფართის სივრცე 15 პროფესიულ სტუდენტზე, რაც აღჭურვილია თეორიული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით. თითოეული სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი და ა.შ) გათვლილია ერთ პროფესიულ სტუდენტზე. ყოველი სტუდენტის სამუშაო მაგიდაზე განთავსებულია ლეპტოპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი - 40,2 კვ.მ. ასევე დაწესებულების კომპიუტერული კლასი B გარემო- 51, 7 კვ. მ, სადაც განთავსებულია 25 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისთვის, კომპიუტერული კომპლექტი მასწავლებლისთვის, მრავალფუნქციური პრინტერი, პროექტორი, დაფა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სასტუმრო მომსახურება“ გამოყოფილი სივრცის რესურსი უზრუნველყოფს ორ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეებს შორის მემორანდუმის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები , რომელის ფარგლებშიც ხდება პროფესიული მოდულების პრაქტიკული შედეგების განხორციელების და დადასტურების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა.

სიმულაციური ოთახი, რომელიც სრულად აღჭურვილია პროფესიული მოდულებისთვის საჭირო ინვენტარით,მატერიალური რესურსით, ყველა აუცილებელი ატრიბუტით,რომელიც პროფესიულ სტუდენტს სრულად აძლევს საშუალებას წარმოდგენა ქონდეს სასტუმრო მომსახურების ძირად დეტალებზე. პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განსაზღვრული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტები, მოდულები რომელთა სწავლის შედეგების დადსტურება ხდება პრაქტიკის ობიექტზე თან ერთვის მემორანდუმებს-სულ 10 მოდული სასტუმრო „ვილარეტაში“ და 10 მოდული სასტუმრო „პარაგრაფში“: სასტუმრო „ვილარეტა“ და სასტუმრო „პარაგრაფი“, რომლებთანაც 2018 წლის 2 აგვისტოდან გაფორმებულია უვადო მემორანდუმები, 2021 წლის 15 მარტის შეთანხმებით კი, დადებულია მხარეებს შორის ხელშეკრულებები,რომელებიც როგორც ზემოთ აღინიშნა, მემორანდუმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენს.აღნიშნული შეთანხმებებით, პარტნიორი მხარეების მიერ აღებულია ვალდებულება, 15-15 პროფესიულ სტუდენტზე, მემორანდუმებზე თანდართული მოდულების ფარგლებში შესაბამისი კომპონენტების განხორციელების ხელშესაწყობად პროფესიულ სტუდენტებს გამოაყენოს მის მფლობელობაში საწარმოო ოპერაციებისთვის არსებული აღჭურვილობა . მემორანდუმის და შეთანხმების ფარგლებში მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღოს პროფესიული სტუდენტი და მაქსიმალურად უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტითით გათვალისწინებული სასტუმრო მომსახურების სპეციალისტისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ურთიერთვალდებულებებში გაწერილია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ზედამხედველის გამოყოფა. შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე, პროფესიულმა სტუდენტებმა მოდულის “გაცნობით პრაქტიკა“ (2 კრედიტი) გარდა, უნდა გაიარონ 6 კრედიტიანი „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულიც. გასაუბრება მოხდა სასტუმრო „ვილარეტას’ წარმომადგენელთან, რომელიც არის „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ხელმძღვანელი, აღნიშნული პიროვნება ამავე დროს სასტუმროს ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელია, რომელსაც ამ მიმართულებით აქვს მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება დარგში. ინტერვიურების დროს დეტალურად წარმოგვიდგინა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების დროს რეალურ სამუშაო გარემოში სტუდენტების უშუალო ჩართულობის მექანიზმები. აღნიშნა,რომ თავად უშუალოდ ხელმძღვანელობს სტუდენტების განაწილებას სასტუმროს კონკრეტულ სივრცეებში და მათ სამუშაო პროცესებში მონაწილეობას.აღნიშნა ისიც, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პანდემიის მიუხედავად სასტუმროს მუშაობა არ შეჩერებულა და სტუდენტებს ეძლევათ საუკეთესო საშუალება ჩაერთნონ სასტუმრო მომსახურების რეალურ სამუშაო პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების და აღჭურვილობის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებები და ფლობის სხვა დოკუმენტები.
„სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში ხორციელდება 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება. ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სასწავლო სივრცე-A გარემო,სადაც მიმდინარეობს ინტეგრირებული მოდულების „მეწარმეობა“ და „მათემატიკური წიგნიერება“-ის მოდულები. შესაბამისად ღნიშნული გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით და თეორიული სწავლებისთვის აუცილებელი მასალებით და ნედლეულით.ცალ-ცალკეა გამოყოფილი AC გარემოები. ერთ შემთხვევაში ფიზიკური პროცესების თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის გამოიყენება „ელექტრიკოსის“საგანმანათლებლო პროგრამის AC გარემო, რომელიც აღჭურვილია ფიზიკური პროცესების სადემონსტრაციოდ.რაც შეეხება ზოგადი მოდულების „მოქალაქეობა“ და კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ განხორციელებას,ის მიმდინარეობს AC გარემოში,რომელიც „საოფისე საქმისთვისაა“განკუთვნილი და აღჭურვილია მოდულის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსით.ერთმანეთის გვერდით,დამოუკიდებელი შესასვლელით ცალკე სივრცეებიაა გამოყოფილი C გარემოების სახით „მეცნიერება და ტექნოლოგიების „ მოდულების-ქიმიური მოვლენების და ბიოლოგიური პროცესების განსახორციელებლად.აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებისთვის საჭირო სასწავლო და მატერიალური რესურსებით.
რამდენადაც დაწესებულება განახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ინტეგრირებული მიდგომით, ამ სამი პროგრამის ფარგლებში სწავლის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფს მოდულური და ინტეგრირებული სასწავლო გეგმების მიხედვით შედგენილი ცხრილებით, კვირეული დატვირთვების დაცვით.

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წინასწარ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, დადგინდა შესაბამისობა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების ვირტუალურად დათვალიერებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. მოდულების განმახორციელებლების-პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების მდგრადობას. დაწესებულება ახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
სწავლებით. სასწავლო ცხრილები უზრუნველყოფენ ინტეგრირებული სწავლების სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას და პროფესიული მასწავლებლების დატვირთვას ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ამ სამი პროგრამის განხორციელებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმები როგორც მოდულური, ისე ინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში. სასწავლო გეგმებში დაცულია პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშების ფორმები, კვირეული დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

"სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი,აქედან 5- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების" პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება" დაწესებულება უკვე ახორციელებს 15 პროფესიულ სტუდენტზე ინტეგრირებული მიდგომით სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, პროფესიული და საერთო პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს აქვთ პროფესიული სწავლების გამოცდილება,რაც დასტურდება პირადი საქმეებით, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და ინტერვიურებით.პროფესიული მოდულების განმახორციელებლებიდან 3 პროფესიული მასწავლებელი დასაქმებულები არიან დარგში,კონკრეტულად სასტუმრო „ვილარეტას".რაც შეეხება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, მათი შერჩევა კოლეჯში განხორციელდა „პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის" თანახმად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, შერჩევის კრიტერიუმების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის სრული დაცვით. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და თანამდებობრივი ინსტრუქცია შესაბამისი კვალიფიკაციების მოთხოვნებით, სამუშაო გამოცდილების დადასტურებით. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, დაცულია პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე თანხმობის დოკუმენტი უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა: ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მოდულების განმახორციელებლებს სრულად აქვთ გაცნობიერებული ის მომენტი, რომ მათთან სკოლიდან ხვდებიან მოსწავლეები, რომელთაც უნდა შეუქმნან ინტერესი და მოტივაცია როგორც ზოგადი განათლების კურსის დასრულების, ასევე პარალელურად პროფესიის დაუფლების. ამიტომ მაქსიმალურად არიან ჩართულები ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან კოორდინირებულ მუშაობაში.

ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებმა გაიარეს მასწავლების სახლის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამეტაპიანი ტრენინგები მეთოდოლოგიურ საკითხებში. მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლების და შეფასების მიმართულებით, შესაბამისად მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურებას“ ჰყავს დაწესებულების უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც უდასტურდება კვალიფიციური გამოცდილება და დარგობრივი კომპეტენცია. აღნიშნული პიროვნება თავად დასაქმებულია სასტუმრო „ვილარეტას“ადმინისტრატორად.როგორც დაწესებულების ხარისხის მართვის ხელმძღვანელმა აღნიშნა,პროგრამის ხელმძღვანელის კოლეჯთან მრავალწლიანი თანამშრომლობა პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე ჯერ კიდევ კოლეჯში საგნობრივი პროგრამების განხორციელების პერიოდს უკავშირდება.აქვს დარგში პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება,ამდენად მთლიანად მობილიზებულია პროფესიულ სტუდენტები აზიაროს დარგის სპეციფიკას, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ კვალიფიციურ კადრად ჩამოყალიბებას. მოგეხსენებათ, რეგიონი დატვირთულია სასტუმრო მომსახურების სფეროს მოქმედი დაწესებულებებით, ამიტომ კურსდამთავრებულების დასაქმებისთვის თავად არის დაინტერესებული მათი კომპეტენციების სრულყოფისათვის შემდგომი დასაქმების მიზნით. ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი უშუალოდ ჩართულია როგორც მთლიანად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პროგრამის შემუშავების და განხორციელების ცალკეულ კომპონენტებში, ასევე კოორდინაციას უწევს შესაბამისი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პედაგოგების საქმიანობას და ამდენად წარმოადგენს პროგრამის წარმატებულად განხორციელების გარანტს.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ონლაინ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დისტანციურად დათვალიერებული იქნა ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი ფოთის ლოკაციაზე. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაფიქსირებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც ელექტრონული სახით, ისე ციფრულ მატარებლებზე. საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს საშუალება აქვს შესაბამისი რესურსი მიიღოს ამობეჭდილი სახით.საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გადამოწმდა ინტეგრირებული მოდულებში გაწერილი ყველა საგანმანათლებლო რესურსი და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა მათი იმ რაოდენობით არსებობა, რაც საკმარისია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. ც გარემოში მოწყობილია სივრცე ,სადაც განთავსებულია სტუდენტებისთვის სასტუმრო მენეჯმენტის სახელმძღვანელო და სადემონსტრაციო-სარეკლამო ბუკლეტები. ასევე სარეკლამო ბუკლეტები განთავსებულია სიმულაციურ ოთახში.

კოლეჯი ამუშავებს „openbiblio’- სისტემას.საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის სახელობითი ჩამონათვალი ასევე განთავსებულია ვებ გვერდზე „ბიბლიოთეკის“ ჩანართში.ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა მოდულებში დაფიქსირებული ლიტერატურის ფაქტობრივი ფლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან,რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ონლაინ ვიზუალური დათვალიერებისას კოლეჯის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა,რომ დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სსმ პირებისთვის შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის. დაწესებულება შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ დამატებით ღონისძიებებს ასეთი პირებისთვის სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის, შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უზრუნველყოფით.სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯს პრაქტიკულად ასეთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტის სსმ პირის სწავლების პროცესის განხორცმათ წვდომას გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველი შშმ და სსმ პირისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და არის ამ პროგრამის მოდიფიკაცია/აკომოდაცია.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება აღნიშნული გეგმით სწავლების პროცესის მონიტორინგი და შედეგების წარდგენება დირექციას. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობენ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელი პედაგოგები, ასევე ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, რომლებიც სისტემატიურად ერთვებიან მეცადინეობის მიმდინარეობის პროცესში.დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე სსმ პირებთან მუშაობის,რომელსაც სრულად გამიყენებს ახალი პროგრამის განხორციელების დროსაც.კოლეჯს ჰყავს ორი სასტატო ერთეულით დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამჟამად კოლეჯში სწავლის პროცესში ჩართულია სამი სსმ პირი-პროფესიული და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი.საჭიროების მიხედვით სსმ პირებთან საგაკვეთილო პროცესში ერთვებიან ინკლუზიური სპეციალისტები,უსაფრთხოების სპეციალისტი,მშობელი.დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები და წარმატებულად ახორციელებს ამ მიმართულებით სწავლების პროცესის განხორციელებას და მინიტორინგს.

დაწესებულება სრულად არის მობილიზებული პანდემიის გამოწვევებიდან გამომდინარე უსაფრთხოების უზრინველსაყოფად რეგულაციების სრული დაცვით.შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, ტემპერატურის საკონტროლო მოწყობილობა,სტიკერები დისტანციის დასაცავად,აუდიტორიებში ხელის და მატერიალური საშუალებების სადეზინფექციო საშუალებები და ატრიბუტები. და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის და მდგრადობის ფინანსური რესურსებიE. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დისტანციური ჩართვის დროს ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს დაწესებულების ფინანსური მხარის მდგრადობა და აღნიშნეს,რომ სტუდენტების რენტაბელობის ზღვარი, ასევე ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურებისთვის გათვლილი ლიმიტი, სასწავლო მიზნობრივი , ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯების ბიუჯეტური გათვლები, იძლევა პროგრამის განხორციელების ფინანსური მხარის უზრუნველყოფის საშუალებას. ამრიგად, დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება‘‘
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები, სასაქონლო ზედნადებები;
- ადამიანური რესურსების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის,ადმინისტრაციის,დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესი;
- პრაქტიკის ობიექტებთანთან (სასტუმრო „ვილარეტა“,სასტუმრო “პარაგრაფი“) გაფორმებული მემორანდუმები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიურება;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურება;
- უშუალოდ პრაქტიკის ობიექტ „ვილარეტას“ ონლაინ ვიზუალური დათვალიერება, წარმომადგენელთან ინტერვიურება;
- სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება;
- სსიპ კოლეჯი „ფაზისის “ ბიბლიოთეკის ფონდი ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრება კოლეჯის მთავარ ბუღალტერთან და შესყიდვების სპეციალისტთან;
- ინფრასტრუქტურის დისტანციური ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.
- შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.

[redacted]შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ფოტო მასალა

28.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---